

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
დაცვის პოლიციის დეპარტამენტი



გამარტივებული ელექტრონული ტენდერი

39500000-ქსოვილის ნივთები

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში-სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" და "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე.

ქ. თბილისი
2012

სატენდერო დოკუმენტაცია

1. შესყიდვის ობიექტი:

საწმენდი ტილოები. იხ. ტექნიკური დავალება.

2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები:

ხელშეკრულების გაფორმებიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ეტაპობრივად კონკრეტული მოთხოვნიდან არაუმეტეს 10 კალენდარული დღისა.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი:

ს.ს.ი.პ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, აღმაშენებლის ხეივანი, მე-11 კილომეტრი.

4. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

4.1 იურიდიული პირებისათვის:

ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

4.2 როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური პირებისათვის:

ა) ცნობა შემოსავლების სამსახურიდან ბიუჯეტის წინაშე დავალიანების არარსებობის შესახებ.

4.3 საკვალიფიკაციო მოთხოვნები ვრცელდება სუბკონტრაქტორებზეც, მათი არსებობის შემთხვევაში.

5. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები შესაბამისი ორგანოებიდან გაცემული უნდა იყოს 2011 წლის 7 აპრილის სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" №9 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის "ვ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ, (ტენდერის გამოცხადების ეტაპი), ხოლო არარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულ უნდა იყოს წინადადების მიღების ეტაპის დაწყებამდე არაუგვიანეს ოცდაათი კალენდარული დღისა. აღნიშნული დოკუმენტები წარმოდგენილი იყოს შემსყიდველ ორგანიზაციაში შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს **5 (ხუთი)** სამუშაო დღისა. არარეზიდენტმა პრეტენდენტმა შესაბამისი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ გაცემული თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოებიდან, რომლებიც თარგმნილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და ნოტარიულად დამოწმებული. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები არ ექვემდებარება შემდგომ დაზუსტებას.

6. პრეტენდენტები ვერ გაივლიან შერჩევას თუ მათ მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები და/ან სატენდერო წინადადება არ შეესაბამება სატენდერო დოკუმენტაციისა და/ან სატენდერო განცხადების მოთხოვნებს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სატენდერო წინადადება შეიცავს ისეთ უზუსტობებს, რომლის შემდგომი წარმოდგენა ან/და დაზუსტება არ გამოიწვევს ტექნიკური დოკუმენტაციის არსებით ცვლილებას და არ მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე. პრეტენდენტმა აღნიშნული უზუსტობები უნდა წაროადგინოს შემსყიდველის მიერ შეტყობინების გაგზავნიდან არაუმეტეს **3 (სამი)** სამუშაო დღეში.

7. ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ორიგინალის სახით (ასლის შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული ასლი) ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. დაცვის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

8. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში-სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული (ბეჭდის არარსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთული უნდა იქნას მინდობილობა ან რწმუნებულება).

9. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

10. პრეტენდენტს არ აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

11. სატენდერო წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12. სახელმწიფო შესყიდვის დაფინანსების წყარო:

ს.ს.ი.პ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის 2012 წლის საკუთარი სახსრები.

13. ანგარიშსწორების პირობები:

ანგარიშსწორება განხორციელდება უნადლო ანგარიშსწორებით, ლარებში, მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან **10 (ათი) დღის** ვადაში. გადახდის წინასწარი მექანიზმი არ გამოიყენება.

14. ტექნიკური დავალება

№	დასახელება	განზ. ერთეული	რ-ბე
1	მაგიდის საწმენდი ტილო, ერთი შეკვრაში 3 ცალი ტილო, ფერადი	შეკვრა	3000
2	იატაკის საწმენდი ტილო არანაკლებ 50X80სმ. ზომისა ბამბის ბრილი ნაჭრის	ცალი	2800
3	მინის საწმენდი ტილო მიკრობოჭკოვანი. არანაკლებ 40X40სმ ზომისა, ორივე მხარეს მუშა ზედაპირით	ცალი	300
4	იატაკის საწმენდი ტილო მიკრობოჭკოვანი არანაკლებ 60X60სმ ზომისა	ცალი	200
5	ლეიბი. ნატურალური ბამბა, ნაჭრის ორმაგ ჩიხოლში. სისქე არანაკლებ 7-8 სმ. ზომა 195X90 წინა არანაკლებ 5კგ	ცალი	4
6	ბალიში. მასალა-ბუმბული, ორმაგ სპეციალურ ჩიხოლში. ანტიალერგიული. წონა არანაკლებ 2,5 კგ. ზომა 60X60	ცალი	4
7	პლედი, ზომა არანაკლებ 90X210, გარშემო შემოკერილი, მაღალი ხარისხის ხელოვნური აკრილანი	ცალი	8

სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს მისაწოდებელი საქონლის დასახელებას, ტექნიკური და ხარისხობრივი მონაცემების სრულ აღწერილობას, (სერთიფიკატებს მათი არსებობის შემთხვევაში).

✓ **პრეტენდენტი ვალდებულია:**

✓ შემსყიდველის მოთხოვნის შემთხვევაში წარმოადგინოს მისი სატენდერო წინადადებაში გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის ნიმუშები შეტყობინების გაგზავნიდან არაუმეტეს **3 (სამი)** სამუშაო დღეში. აღნიშნული ნიმუშები არ ექვემდებარება შემდგომ დაზუსტებას. სატენდერო კომისია უფლებამოსილია მოთხოვნილ საქონელსა და ნიმუშს შორის შეუსაბამობის შემთხვევაში პრეტენდენტს მიანიჭოს დისკვალიფიკაცია.

15. სხვა მოთხოვნები:

პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება ასევე უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: იხ, დანართი №1 და დანართი №2 რომელიც ხელმოწერილი და ბეჭდით დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ.

15.1. სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი უნდა შეიცავდეს როგორც შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

15.2. სატენდერო წინადადების ფასი წარმოდგენილი უნდა იყოს მხოლოდ ლარებში.

15.3. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა არ უნდა იყოს ნაკლები სატენდერო წინადადების მიღების დაწყების თარიღიდან 30 კალენდარული დღისა.

15.4. ტენდერში გამოიყენება სატენდერო წინადადების ელექტრონული გარანტია, რომლის ოდენობა განისაზღვრება განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით და მისი მოქმედების ვადა უნდა აღმატებოდეს სატენდერო წინადადების მიღების ვადას 30 კალენდარული დღით.

15.5. პრეტენდენტი ვალდებულია გაეცნოს და დაეთანხმოს აფიდავიტის პირობებს, იხ დანართი №3 და ასევე, გადაიხადოს საფასური ერთიანი ელექტრონული სისტემის მემშვეობით.

დამატებითი ინფორმაცია:

სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში, ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-11 კილომეტრი, დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, საკონტაქტო პირი: ნუგზარ ღონღაძე - 577 025 200; თამრიკო ჩალიგავა ტელ: +995 (32) 241-92-97; 577 02-50-30 ელ-ფოსტა: chaligava@spd.ge

დანართი №1

1. რეკვიზიტები:

- ✓ პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება;
- ✓ ხელმძღვანელის სახელი და გვარი;
- ✓ პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი;
- ✓ საიდენტიფიკაციო კოდი;
- ✓ პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი;
- ✓ ელექტრონული მისამართი;
- ✓ ბანკის დასახელება;
- ✓ ბანკის კოდი;
- ✓ საბანკო ანგარიშის ნომერი;

2. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შემოთავაზებული სატენდერო წინადადების ფასი:

3. სატენდერო წინადადების მოქმედების ვადა:

სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში წინადადებების მიღების დაწყებიდან არა ნაკლებ 30 კალენდარული დღე.

დანართი №2

ფასების ცხრილი

საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები	წარმოშობის ქვეყანა	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
1	2	3	4	5	6	7	8

შენიშვნა: ერთეულის ფასსა და საერთო ფასს შორის სხვაობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ერთეულის ფასს.

დანართი №3

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავითში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენდენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავითს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;

* ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავითის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

სატენდერო წინადადების ფასი;

სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;

სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;

ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს;

შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება;

* სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმყლავნებია ან/და არ გაუმყლავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავითის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავითით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1951 მუხლის შესაბამისად.

ხელშეკრულების პროექტი
ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №
(39500000- ქსოვილის ნივთები)

ქ. თბილისი

----- 2012 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტი, შემდგომში წოდებული "შემსყიდველად", წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ ახვლედიანის სახით და

შპს "-----", შემდგომში წოდებული "მიმწოდებლად", წარმოდგენილი მისი დირექტორის ----- სახით, ორივე ერთად წოდებული "მხარეებად", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობისა და "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-16¹ მიხლის 1 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ ----- შესყიდვა (იხ. დანართი).

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ღირებულებაა ----- (-) ლარი;

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც მისაწოდებელი საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გასაწევ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

2.3. შესყიდვა ხორციელდება სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის საკუთარი სახსრებით.

3. მხარეთა უფლება მოვალეობები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

3.1.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი მიაწოდოს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, ეტაპობრივად კონკრეტული მოთხოვნიდან არაუმეტეს 10 კალენდარული დღისა;

3.1.2. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

3.1.3. ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებაში;

3.1.4. უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულება.

3.2. შემსყიდველი ვალდებულია:

3.2.1. უზრუნველყოს საქონლის მიწოდების ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

3.2.2. უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებების შესრულება.

4. საქონლის ხარისხი და გარანტია

4.1. მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა იყოს მაღალი და შეესაბამებოდეს სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 5.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, მათ შორის საქონლის ხარისხის კონტროლი;
- 5.2. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ინსპექტირება ხელშეკრულების შესრულებაზე, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის *სახელმწიფო შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურიდან*;
- 5.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ მიწოდებული საქონელი აღმოჩნდა უხარისხო, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებით დადგენილ ვადაში შემსყიდველს მიაწოდოს ხარისხიანი საქონელი. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი ვერ ახერხებს ხარისხიანი საქონლის მიწოდებას და შემსყიდველს გადახდილი აქვს მოწოდებული (უხარისხო) საქონლის ღირებულება, მიმწოდებელი ვალდებულია მოახდინოს აღნიშნული საქონლის ღირებულების დაბრუნება;
- 5.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისთვის აუცილებელი პერსონალით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას თვით შემსყიდველი უზრუნველყოფს.

6. მიღება-ჩაბარების წესი

- 6.1. საქონლის მიღება (მათ შორის ეტაპობრივი) წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელის მოწერით.
- 6.2. საქონლის მიღებას აწარმოებს სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის *სასაწყობო ქვე განყოფილება*;
- 6.3. იმ შემთხვევაში თუ მიღება-ჩაბარების აქტი უნდა გაფორმდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიწოდების ვადის გადაცილებად.

7. ანგარიშსწორების ფორმა და პირობები

- 7.1. ანგარიშსწორების ვალუტა - ლარი;
- 7.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, სამუშაოს შესრულების შემდეგ, სასაქონლო ზედნაღების ან/და საგადასახადო ანგარიშ ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) დღის ვადაში;
- 7.3. იმ შემთხვევაში თუ ანგარიშსწორება უნდა შესრულდეს განსაზღვრულ დღეს და ეს დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს;

8. პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

- 8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრებათ პირგასამტეხლო შემოსატანი (დარჩენილი) საქონლის ღირებულების 0,2%-ს ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე;
- 8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან;
- 8.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მომწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტამდე გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
- 8.4. შემსყიდველის მხრიდან, ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს.

9. სხვა პირობები

- 9.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
- 9.2. ხელშეკრულების შეწყვეტა შესაძლებელია ასევე მხარეთა წერილობით ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
- 9.3. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი გადაეცემა შემსრულებელს, ხოლო მეორე - შემსყიდველს.

10. მხარეთა რეკვიზიტები

ს.ს.ი.პ. დაცვის პოლიციის დეპარტამენტი თავმჯდომარის მოადგილე	
მიხეილ ახვლედიანი ს/კ 211350928 ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-11კმ ს.ს. ლიბერთი ბანკი ბანკის კოდი - LBRTGE22 ა/ა № GE85LB0121158008584000	